ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსები
(29 მარტი, 2016)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ორგანიზებით „ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსები“-ს პროგრამის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „აფხაზეთი დღეს. პრობლემები და გამოწვევები“, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ასოციაცია „მშვიდობა და განათლება“ და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია .

შეხვედრას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში დავით გვაძაბია ესწრებოდნენ.

ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდების მეტად ჩართულობა აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მრგვალ მაგიდაში მონაწილეობა მიიღეს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, აკადემიური წრის წარმომადგენლებმა და აფხაზეთის თემით დაინტერესებულმა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

შეხვედრაზე განიხილეს აფხაზეთში პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მსგავსი ფორმატის შეხვედრები აფხაზეთის თემაზე სისტემატიური ხასიათის იქნება და საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში გაიმართება.